სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

25 / აპრილი / 2025 წ.

KA080113198895425

№ **1306**

განკარგულება

შპს „ინსპერონის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 16 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „ინსპერონის“ (ს/ნ: 404578140) 2025 წლის 16 აპრილის მომართვა (რეგისტრაციის №3365 და №3367), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2025 წლის 23 და 25 აპრილს წარმოადგინა 2025 წლის 23 და 25 აპრილის დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 3476 და № 3543), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 22 აპრილის № 1044 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ინსპერონი“ (ს/ნ: 404578140) 2025 წლის 28 აპრილს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე